ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2589610

ნომერი: AR1401961

თარიღი : 04.05.2016

გაცემის თარიღი : 13.05.2016

გაცნობის თარიღი : 21.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერმონტოვი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბოკუჩავა პ/ნ 01017008495
- გალაკტიონ ტ. 15

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1401961 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10-ში (ს/კ #01.15.05.078.011) პროექტის შეთანხმების და ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას წარმოებაში ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 10 დეკემბრის #2330925 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ლერმონტოვის ქ. N10 –ში, შ.პ.ს. "ლერმონტ"–ის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.15.05.078.011) მდებარე შენობის ფასადის ნალესობის მოხსნის (ფასადის ესკიზის დამუშავებამდე) განხორციელების შესაძლებლობა.

2016 წლის 10 მარტის #2448953 ბრძანებით ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10-ში (ს/კ #01.15.05.078.011) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სასტუმროს მშენებლობისათვის.

2016 წლის 25 მარტის #2470380 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10–ში არსებული შენობის რეაბილიტაციის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი #9, 04.03.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2016 წლის 18 თებერვლის #08 სხდომის დასკვნის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 20 აპრილის #1-612 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10–ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.15.05.078.011) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია და არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა: კ1=0.8, კ2=3.0. (სამსახურის წერილი #2448268 20.04.2016წ.)

2016 წლის 27 აპრილს #AR1399986 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთისათზე (ს/კ #01.15.05.078.011) სასტუმროს პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge